ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2494081

ნომერი: AR1386876

თარიღი : 16.03.2016

გაცემის თარიღი : 22.03.2016

გაცნობის თარიღი : 22.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ბოსტოღანაშვილი პ/ნ 14001013578
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17 ბ. 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი სიტუაციური გეგმის მიხედვით შენობის განთავსებით ტერიტორიაზე იზღუდება თავისუფალი გასასვლელი, რაც დააბრკოლებს სახანძრო–სამაშველო ტექნიკის მანევრირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა წარმოდგენილი სქემით დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსებაზე (შესაძლებელია თქვენს მიერ მისი განთავსებისათვის გამოიძებნოს სხვა ადგილი ან შემობრუნდეს მართობულად–ისე რომ არ შეიზღუდოს თავისუფალი გასასვლელის სიგანე)

ამ ეტაპზე სამსახურის თქვენს მოთხოვნას კორექტირების თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს . აღნიშნულის შესახებ უკვე გეცნობათ სამსახურის №2441341 გადაწყვეტილებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.